დანართი 1.1 - სასწავლო გეგმა პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში; დანართი 1.2 - სასწავლო გეგმა პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე; დანართი 2.1 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი; დანართი 2.2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (ინტეგრირებული მოდულები); დანართი 3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი; დანართი 4 - 30 მოდულები; დანართი 31 - ინტეგრირებული მოდულების საბიბლიოთეკო რესურსი

13. **პროგრამის განხორციელების ადგილი:** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ შემავალი მოდულები განხორციელდება:

ა) სსიპ - კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, (მის: თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44). (აუდიტორიები და კოლეჯის შემოგარენში არსებული საველე ტერიტორია),

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული საველე ტერიტორიები:

1) შპს „არქგაზკომუნპროექტი“ (მემორანდუმი №385), 2) შპს ,,LMC“ (მემორანდუმი №387) 3) შპს „გეოანალიტიკა“ (მემორანდუმი N 388), 4) შპს „კირკიტაძე და კომპანია“ (მემორანდუმი N390), 5) შპს „რუკა მაპპინგი“ (მემორანდუმი N395), 6) შპს „სენსონი“ (მემორანდუმი № 394).

## 10. გრაფიკული დიზაინის შესრულება

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** გრაფიკული დიზაინის შესრულება / Graphic Design Performance

**2. „ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა:** 02122-პ

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში / Secondary Vocational Qualification in Digital Art (კოდი: 0211). აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით, განეკუთვნება დეტალურ სფეროს - აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება, კოდი 0211, აღმწერი - *„შეისწავლის წიგნების ან გაზეთების, რადიო ან სატელევიზიო პროდუქციის, ფილმის ან ვიდეოს, მუსიკალური ჩანაწერების შექმნა-წარმოებასა და გრაფიკულ რეპროდუქციას“.*

**4. მიზანი** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ციფრული ხელოვნების სფეროსთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების უზრუნველყოფა გრაფიკული დიზაინის განხრით.

**5. დაშვების წინაპირობა**

ა) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება
ბ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო ზოგადი განათლება

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ, ციფრულ ხელოვნებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს გამომცემლობებში, პოლიგრაფიულ საწარმოებში, ციფრულ სტამბებში, ფართო¬ფორმატიანი ბეჭდვის საწარმოებში, სარეკლამო კომპანიებში დამკაბადონებლის, გრაფიკოს-დამკაბადონებლის, ტექნიკური დიზაინერის თანამდებობაზე. ასევე შეეძლება მუშაობა დიზაინერ-დამკაბადონებლის ან/და გრაფიკული დიზაინერის თანაშემწედ. ის შეიძლება დასაქმდეს ბეჭდვის წინა მოსამზადებელი პროცესების ტექნიკოსად ისეთ საწარმოებში, სადაც გამოიცემა წიგნები, პერიოდული პუბლიკაციები და ხორციელდება სხვა საგამომცემლო საქმიანობები.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები:18.14; 18.14.0; 18.13.; 18.13.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3121; 7322; 7323

**7. სტრუქტურა და მოდულები** ერთი კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს.

ა) **“გრაფიკული დიზაინის შესრულების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს ხუთ ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 60 კრედიტის რაოდენობით, ორ ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის რაოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 31 კრედიტის რაოდენობით და 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 44 კრედიტის რაოდენობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს **143 კრედიტი.** პროგრამის ხანგრძლივობა **30 სასწავლო თვე ანუ 120 სასწავლო კვირა.** მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება **173 კრედიტი,** ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - **35,5 სასწავლო თვე, ანუ 142 სასწავლო კვირა.**

ბ) **“გრაფიკული დიზაინის შესრულების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 31 კრედიტის რაოდენობით და 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 44 კრედიტის რაოდენობით. რაოდენობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს **90 კრედიტი.** პროგრამის ხანგრძლივობა **16 სასწავლო თვე, ანუ 64 სასწავლო კვირა.**

მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება **120 კრედიტი,** ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - **21,5 სასწავლო თვე, ანუ 86 სასწავლო კვირა.**

**პროგრამაში შემავალი მოდულების ჩამონათვალი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში:**

| ინტეგრირებელი ზოგადი მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | კომუნიკაცია ქართულ ენაზე | საბაზო განათლება | 14 |
| 2 | მათემატიკური წიგნიერება | საბაზო განათლება | 14 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | მეცნიერება და ტექნოლოგიები | საბაზო განათლება | 18 |
| 4 | მეწარმეობა | საბაზო განათლება | 4 |
| 5 | მოქალაქეობა | საბაზო განათლება | 10 |
| ჯამი: | | | 60 |
| ზოგადი მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | - | 3 |
| 2 | უცხოური ენა (ინგლისური) | - | 5 |
| ჯამი | | | 8 |
| საერთო პროფესიული მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება | | 1 |
| 2 | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1 | | 5 |
| 3 | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2 | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება1 | 7 |
| 4 | ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | | 6 |
| 5 | მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები | | 1 |
| 6 | დაზგა-დანადგარებთან  მუშაობა | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1<br>რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2<br>ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | 4 |
| 7 | კომპოზიციის შექმნა | | 7 |
| სულ: | | | 31 |
| 1 | დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში | | 2 |
| 2 | ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება - Corel DRAW | | 6 |
| 3 | ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 9 |
| 4 | დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება | ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა | 5 |
| 5 | დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება | ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა;<br>დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება | 2 |
| 6 | PDF დოკუმენტის დამუშავება  (Adobe Acrobat DC Pro) | დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება | 2 |
| 7 | ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება | დოკუმენტის  დასაბეჭდად მომზადება | 6 |
| 8 | ინტერაქტიური PDF ფაილის და ელექტრონული წიგნების მომზადება | ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა;<br>დამხმარე ვიზუალური მასალის მოზადება;<br>დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება. | 7 |
| 9 | პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის | კომპოზიციის შექმნა;<br>რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1; რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2; ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Adobe Illustrator);<br>ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება - CorelDRAW;<br>ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა; დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება;<br>დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება;<br>PDF დოკუმენტის დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro); ინტერაქტიური PDF ფაილის და ელექტრონული წიგნების მომზადება;<br>ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება;<br>დაზგა-დანადგარებთან მუშაობა. | 5 |
| სულ: | | | 44 |
| კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა: | | | 143 |

პროგრამაში შემავალი მოდულების ჩამონათვალი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე:

| | | | |
|---|---|---|---|
| ზოგადი მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულის წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | მეწარმეობა 2 | | 2 |
| 2 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | | 3 |
| 3 | რაოდენობრივი წიგნიერება | | 2 |
| 4 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | | 3 |
| 5 | უცხოური ენა | | 5 |
| | სულ | | 15 |
| საერთო პროფესიული მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულის წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება | | 1 |
| 2 | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1 | | 5 |
| 3 | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2 | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება1 | 7 |
| 4 | ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | | 6 |
| 5 | მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები | | 1 |
| 6 | დაზგა-დანადგარებთან მუშაობა | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1<br>რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2<br>ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | 4 |
| 7 | კომპოზიციის შექმნა | | 7 |
| | სულ | | 31 |
| პროფესიული მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულის წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში | | **2** |
| 2 | ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება - Corel DRAW | | **6** |
| 3 | ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა | ინფორმაციული წიგნიერება 1 | **9** |
| 4 | დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება | ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა | **5** |
| 5 | დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება | ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა;<br>დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება | **2** |
| 6 | PDF დოკუმენტის დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro) | დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება | **2** |
| 7 | ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება | დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება | **6** |
| 8 | ინტერაქტიური PDF ფაილის და ელექტრონული წიგნების მომზადება | ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა;<br>დამხმარე ვიზუალური მასალის მოზადება;<br>დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება. | **7** |
| 9 | პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის | კომპოზიციის შექმნა;<br>რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1; რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2; ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Adobe Illustrator);<br>ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება - CorelDRAW;<br>ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა; დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება;<br>დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება;<br>PDF დოკუმენტის დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro); ინტერაქტიური PDF ფაილის და ელექტრონული წიგნების მომზადება;<br>ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება;<br>დაზგა-დანადგარებთან მუშაობა. | **5** |
| | სულ | | **44** |
| | კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა | | **90** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები „გრაფიკული დიზაინის შესრულების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას/რედაქტირება გაუკეთოს მარტივ გამოსახულებას
2. იმუშაოს ტექსტებთან
3. შექმნას/დაამუშაოს ვექტორული ობიექტები
4. კორექცია გაუკეთოს რასტრული გამოსახულების (სურათის) ფერსა და ტონალობას
5. გააკეთოს რასტრული გამოსახულების (სურათის) რეტუში
6. დაამუშაოს გამოსახულება ფილტრების და ნიღბების გამოყენებით
7. შექმნას GIF ანიმაცია
8. შექმნას/რედაქტირება და ტრანსფორმაცია გაუკეთოს ვექტორულ ობიექტებს
9. მოამზადოს დოკუმენტი ბეჭდვისა და ლაზერული ჭრისთვის
10. შექმნას/დაამუშაოს/შეინახოს მაკეტი
11. იმუშაოს წიგნის (book) ფაილთან, ასევე შექმნას გრაფიკული ჩარჩო და ფორმები
12. შექმნას/განალაგოს მაკეტში ობიექტების სტრუქტურა, მოახდინოს დოკუმენტის ექსპორტირება ბეჭდვა შესაბამის ფორმატში და შექმნას/დაარედაქტიროს PDF დოკუმენტი
13. მიიღოს დასამზადებელი ნაბეჭდი პროდუქციის ელექტრონული მაკეტი და დაამზადოს საბეჭდი ფორმა
14. დაამატოს ტექსტზე ბმულები, ინტერაქტიური სანიშნეები, ჰიპერკავშირები და სანავიგაციო ღილაკები
15. იმუშაოს ლაზერულ მჭრელებსა და სამგანზომილებიან პრინტერებთან.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება** სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანების „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ როგორც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით, ასევე ინტეგრირების გარეშე. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება** პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათაშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. **კვალიფიკაციის მინიჭება** კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს „გრაფიკული დიზაინის შესრულების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

12. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი 1.1 - სასწავლო გეგმა ინტეგრირების გარეშე;
დანართი 1.2 - სასწავლო გეგმა ინტეგრირებით;
დანართი 2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
დანართი 3 - 30 მოდულები;
დანართი 31 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
დანართი 32 - ინტეგრირებული მოდულების საბიბლიოთეკო რესურსი

13. **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:** სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" (მის: თბილისი, ილია ვეკუას ქ. N 44).

## 11. ინდუსტრიული დიზაინის შესრულება

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - ინდუსტრიული დიზაინის შესრულება / Industrial design performance

2. **„ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა** :02122-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში / Secondary Vocational Qualification in Digital Art (კოდი: 0211) აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით, განეკუთვნება დეტალურ სფეროს - აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება, კოდი 0211, აღმწერი - *„შეისწავლის წიგნების ან გაზეთების, რადიო ან სატელევიზიო პროდუქციის, ფილმის ან ვიდეოს, მუსიკალური ჩანაწერების შექმნა-წარმოებასა და გრაფიკულ რეპროდუქციას".*

4. **მიზანი** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ციფრული ხელოვნების სფეროსთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების უზრუნველყოფა ინდუსტრიული დიზაინის განხრით.

5. **დაშვების წინაპირობა -** სრული ზოგადი განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** ციფრულ ხელოვნებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს სარეკლამო და სამშენებლო კომპანიაში, სამრეწველო ქარხანაში (მაგ: საავიაციო ქარხანა) სხვადასხვა ტიპის სამრეწველო ლაბორატორიებში, ავეჯის, ინტერიერის აქსესუარების მწარმოებელ კომპანიებში, მანქანათმშენებლობის საწარმოში, ბიზნესაქსელერატორებში, სამედიცინო კვლევის, განათლების ცენტრებში და სხვა. ის შეიძლება დასაქმდეს ინდუსტრიულ დიზაინერად. ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები:18.14; 18.14.0; 18.13.; 18.13.0

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3121; 7322; 7323

7. **სტრუქტურა და მოდულები**

**7.1** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** მოიცავს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 31 კრედიტის რაოდენობით და 8 პროფესიულ მოდულს - ჯამური 37 კრედიტის რაოდენობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს **83 კრედიტი.**

| ზოგადი მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| **№** | **მოდულის დასახელება** | **მოდულის წინაპირობა** | **კრედიტი** |
| **1** | მეწარმეობა 2 | | 2 |
| **2** | ინფორმაციული წიგნიერება 1 | | 3 |
| **3** | რაოდენობრივი წიგნიერება | | 2 |
| **4** | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | | 3 |
| **5** | უცხოური ენა | | 5 |
| | **სულ** | **15** | |
| **საერთო პროფესიული მოდულები** | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **მოდულის წინაპირობა** | **კრედიტი** |
| **1** | გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება | | 1 |
| **2** | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1 | | 5 |
| **3** | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2 | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება1 | 7 |
| **4** | ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | | 6 |
| **5** | მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები | | 1 |
| **6** | დაზგა-დანადგარებთან მუშაობა | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1<br>რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2<br>ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | 4 |
| **7** | კომპოზიციის შექმნა | | 7 |
| | **სულ** | | **31** |
| **პროფესიული მოდულები** | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **მოდულის წინაპირობა** | **კრედიტი** |
| **1** | დარგობრივი უცხოური ენა - ინგლისური ინდუსტრიულ დიზაინში | | **2** |
| **2** | ხაზვა ინდუსტრიული დიზაინისთვის | | **4** |
| **3** | ინდუსტრიული დიზაინის სტილისტიკა | | **7** |
| **4** | მასალათმცოდნეობა ინდუსტრიული დიზაინისთვის | | **2** |
| **5** | პროდუქტის ციფრული პროექტირება (Autodesk Fussion360) | | **12** |
| **6** | CNC დანადგართან მუშაობა | რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1,<br>რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2,<br>ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator),<br>დაზგა-დანადგარებთან მუშაობა | **4** |
| **7** | ინდუსტრიული დიზაინის ნამუშევრების პორტფოლიო | | **1** |
| **8** | პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება | კომპოზიციის შექმნა,<br>ხაზვა ინდუსტრიული დიზაინისთვის,<br>ინდუსტრიული დიზაინის სტილისტიკა,<br>მასალათმცოდნეობა ინდუსტრიული დიზაინისთვის,<br>რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1,<br>რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2,<br>ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator),<br>პროდუქტის ციფრული პროექტირება (Autodesk Fussion360),<br>დაზგა-დანადგარებთან მუშაობა,CNC დანადგართან მუშაობა. | **5** |
| | **სულ** | | **37** |
| | **კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა** | | **83** |

ერთი კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, პროგრამის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე, ანუ 59 სასწავლო კვირა.

მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 113 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 20,5 სასწავლო თვე, ანუ 81 სასწავლო კვირა.

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამი სწავლის შედეგები სწავლის შედეგები:** კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას მარტივი (ერთი, ორი გეომეტრიული ფიგურა) დართული (სამი-ხუთი გეომეტრიული ფიგურა)ტიპისკომპოზიციები
2. დახაზოს ტრადიციული მეთოდით
3. აღწეროს ინდუსტრიული დიზაინის სტილისტიკა
4. შეარჩიოს და გამოიყენოს მასალა ინდუსტრიული დიზაინისთვის
5. შექმნას და დაამუშაოს რასტრული გამოსახულება
6. დაამუშაოს ვექტორული გამოსახულება
7. შექმნას პროდუქტის ციფრული მოდელი (Autodesk Fussion 360)
8. იმუშაოსლაზერულ მჭრელებთან
9. იმუშაოსსამგანზომილებიანპრინტერებთან
10. იმუშაოს CNC დანადგართან
11. შექმნას პროდუქტის საბოლოო ციფრული მოდელი, პროტოტიპი.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება** სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“, პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს.

**10.სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება** პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. **კვალიფიკაციის მინიჭება** კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი 1 - სასწავლო გეგმა;
დანართი 2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
დანართი 3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
დანართი 4 - 25 მოდული.

**13. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:** სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ (მის: თბილისი, ილია ვეკუას ქ. N 44).

## 12. ვებტექნოლოგიები

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - ვებტექნოლოგიები / Web Technology

**2. „ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა**: 06114-ს

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology. კოდი: 0612. აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“, კოდი 0612, აღწერი - *„შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც”*

**4. მიზანი** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ვებტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასვე - დეველოპინგი (front_ის მხარე).

**5. დაშვების წინაპირობა**

ა) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება
ბ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო ზოგადი განათლება

**6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდამჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62, 62.0, 62.01.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3514

**7. სტრუქტურა და მოდულები** ერთი კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს. ა) **“ვებტექნოლოგიების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში აერთიანებს ხუთ ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 60 კრედიტის რაოდენობით, ორ ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის რაოდენობით და ცხრა პროფესიულ მოდულს ჯამური 46 კრედიტის რაოდენობით, ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს -**114 კრედიტი.** პროგრამის ხანგრძლივობა **28,5 სასწავლო თვე ანუ 114 სასწავლო კვირა.** მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება

მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება **144 კრედიტი,** ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - **34 სასწავლო თვე, ანუ 136 სასწავლო კვირა.** ზ) **"ვებტექნოლოგიების"**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით. ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს **63 კრედიტი.** პროგრამის ხანგრძლივობა **12 სასწავლო თვე, ანუ 47 სასწავლო კვირა.** მოდულის ,,ქართული ენა A2“ და "ქართული ენა B1" გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება **93 კრედიტი,** ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - **17 სასწავლო თვე, ანუ 69 სასწავლო კვირა.**

**პროგრამაში შემავალი მოდულების ჩამონათვალი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში:**

| ინტეგრირებელი ზოგადი მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | კომუნიკაცია ქართულ ენაზე | საბაზო განათლება | 14 |
| 2 | მათემატიკური წიგნიერება | საბაზო განათლება | 14 |
| 3 | მეცნიერება და ტექნოლოგიები | საბაზო განათლება | 18 |
| 4 | მეწარმეობა | საბაზო განათლება | 4 |
| 5 | მოქალაქეობა | საბაზო განათლება | 10 |
| ჯამი: | | | 60 |
| ზოგადი მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | - | 3 |
| 2 | უცხოური ენა (ინგლისური) | - | 5 |
| ჯამი | | | 8 |
| პროფესიული მოდულები | | | |
| № | მოდულის დასახელება | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | | 8 |
| 2 | გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება | | 7 |
| 3 | დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში | | 5 |
| 4 | ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 6 |
| 5 | ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 5 |
| 6 | ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 3 |
| 7 | ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით | ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript | 3 |
| 8 | ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | | 5 |
| 9 | პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები | ყველა პროფესიული მოდული | 4 |
| ჯამი | | | 46 |
| სულ: | | | 114 |

პროგრამაში შემავალი მოდულების ჩამონათვალი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე:

| ზოგადი მოდულები | | | |
|---|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | მოდულის წინაპირობა | კრედიტი |
| 1 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | | 3 |
| 2 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | | 3 |
| 3 | რაოდენობრივი წიგნიერება | | 2 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **4** | სამოქალაქო განათლება | | 2 |
| **5** | მეწარმეობა 2 | | 2 |
| **6** | უცხოური ენა | | 5 |
| სულ | | 17 | |
| **პროფესიული მოდულები** | | | |
| **№** | **მოდულის დასახელება** | **მოდულის წინაპირობა** | **კრედიტი** |
| 1 | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | | 8 |
| 2 | გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება | | 7 |
| 3 | დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში | | 5 |
| 4 | ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 6 |
| 5 | ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 5 |
| 6 | ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით | ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება | 3 |
| 7 | ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით | ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript | 3 |
| 8 | ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) | | 5 |
| 9 | პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები | ყველა პროფესიული მოდული | 4 |
| | **სულ** | | **46** |
| | **კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა** | | **63** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები**

**სწავლის შედეგები:** კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას
2. გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით
3. გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით
4. მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან
5. დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი
6. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები
7. მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით
8. შეიმუშაოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით
9. მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი
10. დაამუშაოს ვექტორული გამოსახულება
11. შექმნას ვებგვერდის მულტიმედიური კონტენტი
12. შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება** სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანების „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და ,,ვებტექნოლოგიების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ როგორც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებიით, ასევე ინტეგრირების გარეშე. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. **კვალიფიკაციის მინიჭება** კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი 1.1 - სასწავლო გეგმა ინტეგრირების გარეშე;

დანართი 1.2 - სასწავლო გეგმა ინტეგრირებით;

დანართი 2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

დანართი 3 - მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

დანართი 4 ინტეგრირებული ზოგადი მოდულების საბიბლიოთეკო რესურსი;

დანართი 5 - 25 მოდულები.

13. **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:** სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ (მის: თბილისი, ილია ვეკუას ქ. N 44).

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილი:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძირითადი ადგილია **სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N44.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი ცალკეული მოდულების განხორციელების ადგილი განსაზღვრულია მოდულების მიხედვით.

დანართი №2

## სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. კერძოდ, ის განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესს, არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, კოლეჯის მიერ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამ(ებ)ს და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

## პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

1. კოლეჯი აფასებს პროფესიული სტუდენტის ცოდნასა და უნარებს. შეფასებისას ყურადღება ექცევა სტუდენტის აქტიურობას ლექციაზე, მის ჩართულობას სწავლების პროცესში და შემოქმედებითობას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.

3[1]. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის/სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულის (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან, მომდევნო მოდულის (მოდული, რომელიც არ იწყება წინაპირობიანი მოდულის დასრულებიდან 2 კვირაში) დაწყებამდე ნებისმიერ დროს განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ პერიოდში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.

4. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.
5. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის

შედეგის დადასტურების თარიღი ზეპირსიტყვიერად შეათანხმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

6. დუალური პროგრამის შემთხვევაში, კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელიც წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებას საწარმოში.
7. სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვების წინაპირობას, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.
8. დუალური პროგრამაში შემავალი იმ მოდულების/შედეგების/კრიტერიუმების შეფასებასა და ადმინისტრირებაზე, რომელიც განხორციელდება კოლეჯში, გავრცელდება წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
9. დუალურ პროგრამაზე შეფასება სავალდებულოა მოხდეს პროგრამის განხორციელების ეტაპზე მინიმუმ ერთი შუალედური გამოცდის საფუძველზე საბოლოო შეფასებამდე, რომლის მიზანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და ემსახურება სასწავლო პროცესის/სასწავლო გეგმის კორექტირებასა და გაუმჯობესებას.
10. შუალედური გამოცდის შედეგები არ წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველს და მოიცავს იმ ცოდნისა და უნარების შეფასებას, რომლებიც მიღწეულია შესაბამისი გამოცდის ჩატარებამდე.
11. შუალედურ გამოცდაზე მონაწილეობა წარმოადგენს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.
12. შუალედურ გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით შუალედურ გამოცდაზე გასვლის უფლება ერთჯერადად შესაბამისი განცხადებისა და გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში, ხოლო დამატებით შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
13. შეფასება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და საწარმოს ინსტრუქტორის მიერ, პროფესიული სტუდენტის ჩანაწერებისა და დაკვირვების ფურცლის (ჩეკლისტის)/წერითი დავალების საფუძველზე, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
14. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით.
15. საგამოცდო თემატიკა არ უნდა სცილდებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და პროფესიულ სტუდენტს უნდა შეეძლოს სამუშაოს დაგეგმვა და მიცემული დავალების შესრულება, მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება.
16. საკვალიფიკაციო გამოცდამდე პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
17. დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ბოლო მოდულის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში ინიშნება საკვალიფიკაციო გამოცდა.
18. საკვალიფიკაციო გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება ერთჯერადად შესაბამისი განცხადებისა და გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო დამატებით საკავლიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მიეცემა ცნობა გავლილი პროგრამის შესახებ.